პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი
16 მაისი
1940 წ.
№ 111 (5812)
ფასი 10 კაპ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

დღეს გაზეთში:

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა და დახმარება მრავალდაზგოსნებს (მე-2 გვ.)

საზეიმო მიტინგი კიროვის ქარხანაში (1-ლი გვ.)

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის გახსნა (1-ლი გვ.)

საარჩევნო კამპანია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში (1-ლი გვ.)

უცხოეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა (მე-2 გვ.).

8. ჯაში — „ტყვარჩელძვანახშირის“ და „ტყიბულძვანახშირის“ ტრესტებმა მუშაობა უნდა გარდაქმნან (მე-2 გვ.).

საკოლმეურნეო შრომის გამარჯვების ბრწყინვალე დემონსტრაცია (მე-3 გვ.).

ს. კოკში — საქართველოს სსრ ბუნდოვანი-სიტყვა 1940 წლის სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე (მე-3 გვ.).

უცხოეთში

საომარი მოქმედება ჰოლანდიასა და ბელგიაში (მე-2 გვერდი)

რეიტერის სააგენტო საომარი მოქმედების შესახებ ჰოლანდიასა და ბელგიაში (მე-4 გვ.)

იტალიაში გრძელდება კამპანია ჰოკაბშირეთა წინააღმდეგ (მე-4 გვ.).

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა და დახმარება მრავალდაზგოსნებს

სტახანოვური მოძრაობა—მშრომელთა მასების უშრეტ ინიციატივასა და შემოქმედებითს გაქანებაზე აღმოცენებული ეს დიადი მოძრაობა, რომელიც გვიჩვენებს შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების იშვიათ ნიმუშს, სულ უფრო და უფრო ფართოვდება, ახალ საწარმოო სასწაულებს გვიჩვენებს.

სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარების ახალ ფორმას დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს მრავალდაზგოსანთა მოძრაობა და პროფესიათა შემთავსებლობა, წარმოშობილი მოწინავე მუშების შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის მაგალითზე. იგი ნათლად გვიჩვენებს ბოლშევიკების ახალ წარმატებებს ტექნიკის დაუფლებაში, ჩვენი საწარმოო კადრების ზრდას, მოწინავე მუშების სოციალისტური შეგნების ზრდას.

მრავალდაზგოსნებმა, მსგავსად პირველი სტახანოველებისა, დაანგრიეს ძველი ნორმები და გააქარწყლეს ძველი შეხედულებანი ტექნიკის გამოყენებაზე.

მრავალი დაზგის მომსახურებაზე გადასვლამ გამოავლინა შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვები და, მაშასადამე, სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულების შესაძლებლობანი.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მრავალდაზგოსანთა მუშაობას, რომლებმაც, იწყეს რა ერთი დაზგის ნაცვლად რამდენიმე დაზგაზე მუშაობა, არა თუ არ შეამცირეს თვითეული დაზგის წარმადობა, არამედ უფრო გაზარდეს იგი.

მოწინავე მუშების ინიციატივის ეს ღირსშესანიშნავი საწარმოო აღმავლობა მოითხოვს სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ყოველმხრივ მხარდაჭერას.

იქ, სადაც მრავალდაზგოსნებს ნამდვილ დახმარებას უწევენ, ისინი შრომის ნაყოფიერების მაღალ ნიმუშებს იძლევიან, მაქსიმალურად იყენებენ დაზგებს, გამოსწურავენ ტექნიკას ყველაფერს, რის მოცემაც მას შეუძლია.

ეს დიადი მოძრაობა, რომელიც ამ ორი წლის წინათ წარმოიშვა, ფართოდ ინერგება ჩვენს სოციალისტურ მრეწველობაში. თუ მისი ჩასახვის პირველ ხანებში მრავალდაზგოსანთა რიცხვი ერთეულებითა და ასეულებით განისაზღვრებოდა, დღეს ჩვენ მათ ასეულობითა და ათასეულობით ვითვლით.

საქართველოშიაც გარკვეული მიღწევები მოგვეპოვება ამ მხრივ. მაგალითად, სტალინის სახელობის ორჯონიკიძის ვაგონსარემონტო ქარხანაში, რომელიც მრავალდაზგოსანთა მოძრაობის ინიციატორია საქართველოში, დღეისათვის 25 მრავალდაზგოსანია, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში—14, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში—18, თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში—88. საერთოდ თბილისის ლენინის რაიონში შემავალ საწარმოებში 200-მდე მრავალდაზგოსანს ითვლიან. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში 134 მრავალდაზგოსანი ითვლება. დიდია სტახანოველ მუშათა მრავალ დაზგაზე სამუშაოდ გადასვლის მისწრაფება.

მაგრამ მრავალდაზგოსანთა მუშაობის პირობების ადგილებზე გაცნობა გვიჩვენებს, რომ მრავალდაზგოსნებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების მხრივ ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს. სამეურნეო მუშაკები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ზოგჯერ მათ ჯეროვან დახმარებას არ უწევენ.

მრავალდაზგოსნები საწარმოების ხელმძღვანელებს უყენებენ სათანადო მოთხოვნილებებს წარმოების მოწყობის მხრივ. საჭიროა მათი შეუფერხებელი უზრუნველყოფა ხელსაწყო - იარაღებით, დაზგების დატვირთვის ზუსტად დაგეგმვა, სამუშაო ადგილის სწორად მოწყობა, მოწყობილობის დროულად შეკეთება და სხვ. ბევრგან სტახანოველ მრავალდაზგოსანთა ამ კანონიერ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ.

მაგალითად თუ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ავიღებთ, იქ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ფაბრიკაში დამხმარე მასალა არა აქვთ, თვითეულ დაზგას ნაცვლად 2 მაქოსი აქვს ერთი და ზოგჯერ ისიც უვარგისი, გადამცემი ღვედების გაწყვეტისას მრავალდაზგოსნებს უხდებათ მისი შეკეთება, მათვე უხდებათ დაზგის შეკეთება. დაზგების განლაგებაც ვერ არის ხელსაყრელი მრავალდაზგოსნებისთვის, რაც ხელს უშლის მათ მუშაობას, არ იძლევა შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევის საშუალებას. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში ხუთ დაზგაზე მომუშავე ამხ. სემენიშინს პირველ კვარტალში 1157 დაზგა-საათი გაუცდა. მრავალდაზგოსნებისათვის ხელშეუწყობლობით აიხსნება, რომ ზოგიერთ საწარმოში კაცი, რომელიც 5 დაზგაზეა გადასული, ფაქტიურად 1-2 დაზგაზე მუშაობს.

ამგვარად, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის წარმატება უმთავრესად მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე, მრავალდაზგოსნისათვის სისტემატური დახმარების გაწევაზეა დამოკიდებული.

ამხანაგი **სტალინი** ჯერ კიდევ 1935 წელს მიგვითითებდა: „სტახანოვური მოძრაობა ყოველმხრივ რომ გავავრცელოთ მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის მარტო სტახანოველები, რა თქმა უნდა, არ კმარან. საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჩაებან ამ საქმეში და დაეხმარონ სტახანოველებს ბოლომდე მიიყვანონ მოძრაობა“.

ბელადის ეს მითითება ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვური მოძრაობის ნოვატორების — მრავალდაზგოსნების ბრძოლას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის და შეუქმნან მათ ამ ბრძოლაში წარმატების ყველა პირობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატები იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულებისათვის, ისინი აღგზნებული არიან სურვილით ვადამდე შეასრულონ მესამე სტალინური ხუთწლედი, დაიჩქარონ ჩვენი ქვეყნის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა.

თვითეული სამეურნეო, პარტიული და პროფესიული მუშაკის საპატიო ამოცანა და უდიდესი ვალი დაეხმაროს, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს — შრომის ნოვატორებს ამ დიდი ამოცანის შესრულებაში.

„ყრილობა ავალებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საწარმოო აქტივობას მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ფართო დახმარება აღმოუჩინონ სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის შემდგომ გაშლას, აგრეთვე პროფესიათა შეთავსების პრაქტიკას და შრომის სხვა სოციალისტურ ფორმებს“.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ და არ უნდა დაივიწყონ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის ეს დავალება. მათ სოციალისტური შრომის ნოვატორების — მრავალდაზგოსნებისა და პროფესიათა შემთავსებლებისადმი ყოველდღიური ზრუნვით და ჰამაცობა გამოიჩინეს თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა

საზეიმო მიტინგს ათასზე მეტი კაცი დაესწრო

გუშინ, 15 მაისს მოსკოვის მშრომელთა, ფაბრიკების, ქარხნების, დედაქალაქის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების, საბჭოების თვალუწვდენელი ქვეყნის ოლქებიდან, მხარეებიდან და რესპუბლიკებიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრების თანდასწრებით გაიხსნა ზეიმით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გახსნას რამდენიმე ათი ათასი კაცი დაესწრო. სრულ 12 საათზე გაიღო გამოფენის კარები, 1 საათსა და 40 წუთზე საოცხოო ქალაქ-ბაღის ხეივნებსა და მოედნებზე უკვე დაახლოებით 50 ათასი დამთვალიერებელი იყო.

რადიორუპორები აქ მყოფთ მიტინგზე იწვევენ. კოლმეურნეობათა მოედანზე მოწყობილ ტრიბუნასთან ყოველი მხრიდან მოდიან სტუმარ ექსკურსანტთა, გამოფენის დამთვალიერებელთა მრავალრიცხოვანი კოლონები. ქარხანა „კალინარის“, სტალინის სახელობის ავტოქარხნის და დედაქალაქის სხვა საწარმოთა კოლონების თავზე აღმართულია დროშები, პორტრეტები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა.

დღის სრულ 2 საათზე ტრიბუნაზე გამოჩნდნენ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვი,** სსრ კავშირის მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარი ამხ. **პ. პ. ლობანოვი,** ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ტ. დ. ლისენკო,** პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. **კ. ი. ნიკოლაევა,** სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი **ნ. ვ. ციცინი,** საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. მ. პოპოვი,** მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ს. ტარასოვი,** მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. პ. პრონინი,** პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოფენის მთავარი კომიტეტის წევრები და სხვ.

დაფდაფების ხმა დამსწრეთ აუწყებს დღესასწაულის დაწყებას. მიტინგს ხსნის გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი, რომელიც სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს, ამხ. ი. ა. ბენედიქტოვს.

ამხ. ბენედიქტოვი ლაპარაკობს იმაზე, რომ კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** მოწოდებას და გაშალეს ფართო შეჯიბრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ახალი გამარჯვებებისათვის. უკან მოვიტოვეთ 1939 წელი, სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მნიშვნელოვან წარმატებათა წელი, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების წელი. 1939 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე აღებულია ჰური, ბამბა, სელი, კარტოფილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უფრო მეტი, ვიდრე 1938 წელს. 194,5 ათასით გადიდდა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების რაოდენობა. მეურნეობათა ახალმა ათასეულებმა და სოფლის მეურნეობის ცალკეულმა მოწინავეებმა მოიპოვეს გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება. წელს სოფლის მეურნეობის გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერების მონაწილეა 18.163 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის 14.163 ფერმა, 333 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 957 საბჭოთა მეურნეობა, სოფლის მეურნეობის 265.326 მოწინავე, ორგანიზატორი და სპეციალისტი.

ამხ. ბენედიქტოვი დამსწრეთ მოუწოდებს მოწინავე კოლმეურნეობებისაგან, რაიონებისა, ოლქებისა და მხარეებისაგან ისწავლონ თვითეული ჰექტარი მიწის უფრო ეფექტიურად გამოყენება, სრულფასოვანი მრავალმხრივი მეურნეობის გაძღოლა, ხაზგასმით აღნიშნავს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უდიდეს როლს იმისათვის საბრძოლველად მასების მობილიზაციის საქმეში, რათა განხორციელდეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე.

ამხ. ბენედიქტოვის უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც მიძღვნილია კოლმეურნე გლეხობისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკთა საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** მშრომარე ტაში ჰფარავს.

სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი ორდენოსან პროფესორის ამხ. ა. ვ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით ასრულებს „ინტერნაციონალს“. აკადემიკოსმა ციცინმა ამართი გამოფენის მთავარი ალამი. ერთსა და იმავე დროს აფრიალდა ალმები ყველა პავილიონზე. ანსამბლი ასრულებს „კანტატას სტალინზე“ და „ბოლშევიკთა პარტიის ჰიმნს“. დახურულად აცხადებს რა საზეიმო მიტინგს, ამხ. ციცინი იწვევს სტუმრებს პავილიონებში.

ფართოდ იღება პავილიონის კარები. გამოფენის დამთვალიერებლები თვალნათლივ ხედავენ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ სოციალისტურ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას, თუ რა სახელოვანი საგმირო საქმეები აღნიშნა საკოლმეურნეო მეურნეობამ გასული წელი.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნილია. (საკდესი).

საზეიმო მიტინგი კიროვის ქარხანაში

ამხ. მ. ი. კაღინინის გამოსვლა

ლენინგრადი, 13 მაისი (საკდესი). როდესაც წითელი არმია კარელიის ყელზე „მანერჰაიმის ხაზის“ ბასტიონებს ანადგურებდა, კიროვის ქარხნის კოლექტივი იმ საწარმოთა პირველ რიგში იდგა, რომლებიც ფრონტისათვის ძლევამოსილ საბრძოლო ტექნიკას სწედდნენ. ჩვენმა ქვეყანამ დაიფასა ეს შრომითი გმირობა. კიროვის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც უკვე დაიმსახურა ორი მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი და ლენინის ორდენი, ახლა წითელი დროშის ორდენი მიიღო.

ქარხნის მოედანი და მისი ყველა მისასვლელი ხალხით არის გაჭედილი. ფრიალებენ წითელი ტილოები და დროშები. საპატიო ყარაულით გარშემორტყმული ტრიბუნის თავზე მაღალ ფრიალებს ქარხნის ალამი, რომელიც შემკულია სამი ორდენის ემბლემებით.

ყველას აღელვებს მომავალი შესანიშნავი შეხვედრა: ქარხანაში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პუტილოვის ქარხნის ყოფილი ხარატი **მ. ი. კალინინი.**

მიხეილ ივანეს-ძე ტრიბუნაზე დგას. მის გვერდით არიან: პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები ამხ. **კუზნეცოვი** და **კაპუსტინი,** ამხ. **გოგლიძე,** საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. **ეფრემოვი.** მძლავრი ათასხმოვანი „ვაშათი“ მიესალმებიან კიროველები მიხეილ ივანეს-ძეს.

მიტინგი გაიხსნა. კითხულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას, რომლითაც ქარხანა დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. გაისმის პროლეტარული ჰიმნი.

ამხ. კალინინმა ორდენი გადასცა ქარხნის დირექტორს და წარმოების უძველეს მუშათა დელეგაციას. სრულიად-საკავშირო სტაროსტა მეგობრულად ართმევს ხელს მოხუც პუტილოველებს — მგლინავს ამხ. ს. ნ. სუხინს, ოსტატს ამხ. ი. ს. ბლინოვს, ხარატს ამხ. პ. ნ. ბაკულინს, ისტორიული ჯავშნოსნის მეძანქანეს ამხ. ა. ა. მაილოვს, სტახანოველ ქალს ამხ. ა. დ. მოისეევას, საწარმოო რეკორდების ოსტატს ამხ. დ. ს. პავლოვს და სხვ.

გამოდის ქარხნის დირექტორი ამხ. ი. მ. ზალცმანი.

— ჩვენ, — ამბობს იგი, — სიამაყით ვიღებთ უმაღლეს ჯილდოს და ვეცდებით ჩვენს მთავრობასა და სამშობლოს: კიროველები მომავალშიც აღფრთოვანებითა და ენერგიით გააკეთებენ ბოლშევიკურ საქმეებს, შეჰქმნიან ახალ მოწინავე ტექნიკას.

სიტყვას ამბობს ამხ. **მ. ი. კალინინი.**

მიხეილ ივანეს-ძემ კიროველებს მიულოცა მესამე ორდენის მიღება, ილაპარაკა კიროვის ქარხნის იმ უდიდეს დამსახურებაზე, რაც მას სოციალისტური სამშობლოს წინაშე მიუძღვის, და გამოსთქვა რწმენა, რომ საბრძოლო ჯილდო აღაფრთოვანებს ქარხნის კოლექტივს ახალი შრომითი გმირობისათვის.

გრიალებს „ვაშა“, გაისმის მისალმებათა შეძახილები დიდი **სტალინისა** და მის სახელოვან თანამებრძოლთა პატივსაცემად.

მიტინგი დამთავრდა. სამგზის ორდენოსანი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები მიტინგიდან მიდიან, მხურვალე სურვილით აღფრთოვანებულნი — მოიპოვონ ახალი, კიდევ უფრო დიდი საწარმოო გამარჯვებანი.

ამხ. მ. ი. კაღინინის სიტყვა კიროვის ქარხნის კოლექტივის მიტინგზე

ამხანაგებო! მოგილოცავთ მესამე ორდენის გადმოცემას. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 22 წლის განმავლობაში ყოფილი პუტილოვის ქარხნის მუშებმა მესამე ჯილდო მიიღეს. ეს ამტკიცებს მუშების — კიროველების უდიდეს დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

ამხ. კალინინი იხსენებს პუტილოველთა ძველ რევოლუციურ ტრადიციებს, რის შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი „პუტილოვის ქარხნის ისტორიაში“.

— მეფის მთავრობაც, — ამბობს ირონიით მიხეილ ივანეს-ძე, — არ სტოვებდა უყურადღებოდ პუტილოველ მუშებს: შეიძლება ვთქვათ, რომ წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ დაპატიმრებები არ მოეხდინა პუტილოველთა შორის. ისე წელიწადი არ გავიდოდა, რომ მეფის მთავრობა არ შეშფოთებულიყო, არ აღელვებულიყო პუტილოვის ქარხნის მდგომარეობის გამო. მაგრამ ეს იყო აღელვება ფულის ტომრებისა, რომელთაც სურდათ რაც შეიძლება მეტი, მოგება მიეღოთ.

პუტილოვის ქარხნის ძველი მუშები ცხადად ხედავდნენ ხელისუფლების დამოკიდებულებას ქარხნისადმი, მუშები მეფის წესწყობილების შეურიგებელი მტრები იყვნენ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დაენგრიათ ეს წესწყობილება. და მათ გაიმარჯვეს.

მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდათ პუტილოვის ქარხნის მუშებს — მეფის თვითმპყრობელობის დამხობა — ეს მიზანი მიღწეულია. ახლა უკვე 22 წელია, რაც ჩვენ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას ვაშენებთ. და ამ მშენებლობაში დიდ როლს ასრულებს კიროვის ქარხანა.

თუ ის წინათ იყო პირველი მოთავე ბრძოლისა კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ, ახლა იგი არის დასაყრდენი, დამცველი, ყველაზე მგზნებარე მშენებელი ბანელი სოციალისტური საზოგადოებისა.

ამის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია ის უდიდესი ენერგია, რომელიც გამოიჩინეს მუშებმა — კიროველებმა უკანასკნელ დროს. სამპატია და სიყვარული მჟღავნდება არა მარტო გარეგნულად, როგორც დღეს მაგალითად, ასეთ დღესასწაულის დღეს. ეს სიყვარული და სიმპატია განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება მწვავე პოლიტიკურ მომენტებში, როცა ძველი სამყაროს ძალებს სწადიათ ყელში მისწვდნენ ახალ საზოგადოებას.

მრავალათასიანი მიტინგი აღტაცებით ხვდება მიხეილ ივანეს-ძის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ლენინგრადის პროლეტარიატი და განსაკუთრებით კიროვის ქარხნის მუშები თეთრფინელებთან ბრძოლის დღეებში იჩენდნენ იშვიათ ენერგიას, რევოლუციურ-ტექნიკურ შემოქმედებას.

დავალებები სრულდებოდა მაქსიმალურად მოკლე ვადაში. ასეთ მოკლე ვადებს ვერ ითვალისწინებდა პროექტების შემდგენი ტექნიკური აზრიც კი. ყველაფერი ეს შედეგია მუშათა კლასის რევოლუციური ნებისყოფისა — გაზარდოს საბჭოთა ქვეყნის ბრძოლისუნარიანობა და ძლეველი გახადოს ჩვენი წითელი არმია. — ამხანაგებო, — განაგრძობს მიხეილ ივანეს-ძე, — უკანასკნელმა ამბებმა დაგვანახვეს, რომ მუშათა კლასი, საკოლმეურნეო გლეხობა ტყუილად როდი მუშაობდა 22 წლის განმავლობაში. ამ 22 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა განმტკიცდა, მძლავრ სახელმწიფოდ გადაიქცა. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე უფრო მთავარი, ყველაზე უფრო გადამწყვეტი გამარჯვება.

უდიდესი მუშაობისათვის, ტექნიკური და ორგანიზაციული შემოქმედებისათვის, შრომითი ენერგიისათვის — აი ამ თვისებებისათვის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აჯილდოებს კიროვის სახელობის ქარხანას „წითელი დროშის“ საბრძოლო ორდენით. ეს პირველი ქარხანაა, რომელმაც „წითელი დროშის“ საბრძოლო ორდენი მიიღო.

— მე ვფიქრობ, — ამბობს ამხ. კალინინი, — რომ ეს ჯილდო კიდევ უფრო გაამხნევებს კიროველებს.

მიხეილ ივანეს-ძე ლაპარაკობს კიროველების სახელოვან ტრადიციათა შესახებ, კიროველებისა, რომლებიც მუდამ იბრძოდნენ მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ამ სულისკვეთებით აღზარდა ისინი კომუნისტურმა პარტიამ.

— კომუნისტური პარტია, მისი დრ -ბა, მისი ალამი გვრაზმავს ჩვენ, მტკიცედ გვაკავშირებს, და საბჭოთა რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე აღფრთოვანებით გაიძახის: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის ბელადსა და ხელმძღვანელს ამხანაგ სტალინს! **(მჭუხარე ტაში, შეძახილები „ვაშა“).**

დასასრულ ამხ. კალინინი კვლავ ულოცავს ქარხნის კოლექტივს საბრძოლო ჯილდოს გადაცემას.

— მე ვფიქრობ, — ამთავრებს თავის სიტყვას იგი, — თქვენ არ შეარცხვინით კიროვის მიწა-წყალს და ორდენის მიღების შემდეგ თქვენს საწარმოო პირველობას არავის დაუთმობთ საბჭოთა კავშირში. ვისურვებთ, რომ პირველობის დროშა აქ არ გაგეშვათ თქვენი ხელიდან! **(მჭუხარე ტაში).**

ლენინგრადის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების ჩვენება მოსკოვში

პუშკინის სახელობის თეატრის შემოქმედებითი წარმატება

სპექტაკლ „ლენინს“ დაესწრნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ს. შჩერბაკოვი

12 მაისს, საღამოს, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მოსკოვში გვიჩვენა თავისი მესამე წარმოდგენა, რომელიც დადგმული იყო ლენინგრადში, ლენინგრადის სამხედრო ოლქის მებრძოლებსა და მეთაურებს, მესაზღვრეებსა და ჰოსპიტლების მუშაკებს, რომლებმაც გულადობა და ჰამაცობა გამოიჩინეს თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე.

— ა. კაპლერისა და ტ. ზლატოგოროვას პიესა „ლენინი“. მაყურებელი მხურვალე ტაშით მიესალმნენ დადგმის ყველა მონაწილეს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ს. შჩერბაკოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ლენინგრადი, 14 მაისი (საკდესი). დღეს წითელი არმიის კიროვის სახელობის სახლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა ლენინგრადის სამხედრო ოლქის მებრძოლებსა და მეთაურებს, მესაზღვრეებსა და ჰოსპიტლების მუშაკებს, რომლებმაც გულადობა და ჰამაცობა გამოიჩინეს თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე.

აჭარამ გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების გაშენების გეგმა

ბათუმი 15 მაისი („კომუნისტის“ კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკამ 14 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1769 ჰექტარის ნაცვლად ციტრუსები დარგულია 1770 ჰექტარზე.

რგვა გრძელდება.

კ. დოგოლრჯგინიძე

საარჩევნო კამპანია-კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში

ქალაქ პეტროზავოდსკის ნომერ პირველ სანაპირო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

პეტროზავოდსკი, 13 მაისი (საკდესი). დაწესებულებათა, საწარმოთა, სასწავლებელთა და მშრომელების სხვადასხვა კოლექტივების 600-ზე მეტი რწმუნებული ეკრიბა დღეს სადღესასწაულოდ მორთულ სახელმწიფო დრამატიულ თეატრში ქალაქ პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირს ხსნის პეტროზავოდსკის პირველ საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. გოდინი.

პირველი სიტყვა ეძლევა ანობინის სახელობის სტამბის სტახანოველ ინოტიპისტს ამხ. დემენჩუკს.

ამხ. დემენჩუკის სიტყვიდან

ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა უმაგალითო გმირობისა და სიმამაცის შედეგად ოპოვებულია შესანიშნავი გამარჯვებანი. განადგურებულია ფინეთის თეთრგვარდიელობა, მოსპობილია რმის პლაცდარმი, რომელიც ინგერლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე შეჰქმნეს, უზუნველყოფილია ლენინის ქალაქისა და ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის უშიშროება.

ჩვენი კარელიის ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.

დღეს აქ შეკრებილნი ვართ წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე, რათა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანები დავასახელოთ.

წინადადება შემომაქვს, რომ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ქალაქ პეტროზავოდსკის № 1 სანაპირო საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი, მეგობარი და მასწავლებელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელი იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი (მჭუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხები სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მიდიან კომუნიზმისაკენ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა. აი რატომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი წინასაარჩევნო კრებებზე ერთსულოვნად და გულმხურვალედ ასახელებენ ამხანაგ სტალინს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად.

ვოივო ანტიკაინენი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი

კემი, 13 მაისი (საკდესი). საღამოა, მაგრამ ქუჩაზე სინათლეა — დადგა პოლარული თეთრი ღამე. ჯგუფებად და ცალ-ცალკე, მიდიან ზღვისპირა სოფლის — გრიდნოს მეთევზეები და მეთევზე ქალები წინასაარჩევნო კრებაზე. ქოხ-სამქითველოს ბინა სავსეა ხალხით. გამოცხადდა 126 კაცი — სოფლის ყველა ამომრჩეველი.

სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა ამხ. არტენიევმა. იგი ამბობს:

— წინადადებას ვიძლევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას სახალხო გმირი, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა ფინეთის საპყრობილეებში, ტოივო ანტიკაინენი.

ამხ. ანტიკაინენი ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს აქტიური მონაწილეობას იღებდა ფინეთის ხალხის რევოლუციურ ბრძოლაში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლებში ტოივო ანტიკაინენი ჩაეწერა მოხალისედ წითელ არმიაში და რუსი ხალხის გმირ

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კიევი, 14 მაისი (საკდესი). დღეს უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობის დილის სხდომაზე ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ამხ. სპივაკი.

ამხ. სპივაკის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. თავმჯდომარე ამხ. ბურმისტენკო პირველ სიტყვას აძლევს უკრაინის კ. პ. (ბ) ვოროშილოვგრადის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. კვასოვს.

პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი დიდ ყურადღებას აქცევენ დონბასის მექანახშირეთა მუშაობას. სწორედ ამიტომ ვოროშილოვგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის სიტყვაში მთავარი ადგილი უკავია ქვანახშირის მრეწველობას.

უკრაინის ლენინურ-სტალინურ კომკავშირს, მის ბრძოლას მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის მიუძღვნა თავისი გამოსვლა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ხომენკომ.

— ამხანაგ სტალინის მითითებათა ასახორციელებლად, — ამბობს ამხ. ხომენკო, — უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს ბრავალი ახალი, ჩვენი პარტიის სამსახურისათვის ბრძოლაში შემოწმებული ადამიანი. რესპუბლიკის ოლქებში უკრაინის კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შემდეგ პარტიულ სამუშაოზე დაწინაურებული იქნა 13.930 კაცი, საბჭოთა სამუშაოზე — 11.547 კაცი, სამეურნეო სამუშაოზე — 3.382 კაცი და სხვა სამუშაოებზე — 3.193 კაცი.

ხვალ ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

„ჭყვარჩელქვანახშირის“ და „ჭიბულქვანახშირის“ ტრესტებმა მუშაობა უნდა გარდაჰქმნან

▽

მ. ჯაში

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

△

დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითების განსახორციელებლად, რომ **უზრუნველვყოთ საკუთარი ქვანახშირით საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მოთხოვნილებანი,** საქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით ტყვარჩელ და ტყიბულქვანახშირის ტრესტების მუშაობის გასაუმჯობესებლად საკმაო მუშაობა ჩაატარეს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად საქართველოს ნახშირის საწარმოები ტყვარჩელ და ტყიბულქვანახშირი მექანიზებულია და შეიარაღებულია სამთო მრეწველობის უახლესი ტექნიკით, განუწყვეტლივ იზრდება ქვანახშირის ამოღება. გასულ წელს „ტყიბულქვანახშირმა“ ექსპლოატაციაში გაუშვა გელათის მაღარო, მიმდინარე წელს გაშვებული იქნება კიდევ ერთი ახალი მაღარო, „ტყვარჩელქვანახშირში“ ტარდება არსებული მაღაროების რეკონსტრუქცია და გაფართოება.

საქართველოს ქვანახშირის ტრესტები „ტყიბულქვანახშირი“ და „ტყვარჩელქვანახშირი“ წარმატებით ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის მრეწველობას და მაღალხარისხოვან ქვანახშირს აწვდიან მას.

ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების მუშაობა ყოველთვის იდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში, რის შედეგადაც, მიუხედავათ ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობისა, შესაძლებელი გახდა საკრძნობი გარდატეხის მოხდენა ქვანახშირის ამოღების საქმეში. თუ 1937 წელს ქვანახშირის ამოღების გეგმა „ტყვარჩელქვანახშირმა“ შეასრულა 39,4%, ხოლო 1938 წელს — 83,3%, 1939 წელს მიაღწია გეგმის გადაჭარბებით — 107,8 პროც. შესრულებას. ასეთივე სურათია „ტყიბულქვანახშირის“ მუშაობაში, რომელმაც 1937 წლის ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 68,5 პროც., 1938 წ.—104,3 პროც., ხოლო 1939 წ. — 100,0 პროცენტით.

1938 წლის ქვანახშირის ფაქტიურ ამოღებასთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მრეწველობას „ტყვარჩელქვანახშირმა“ 1939 წელს მისცა 70.800 ტონა, ხოლო „ტყიბულქვანახშირმა“ 49.200 ტონით მეტი ნახშირი.

ამ ხნის განმავლობაში ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საწარმოებში ახლადნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა საუკეთესო კადრები, რომლებიც იძლევიან შრომის ნაყოფიერების მაღალ, შესანიშნავ ნიმუშებს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად საჭიროა „ტყიბულქვანახშირის“ და „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტების ხელმძღვანელობამ, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელმა კოლექტივმა გარდაჰქმნას და გააუმჯობესოს მუშაობა, ბოლშევიკური სიმტკიცით და მთელი ენერგიით გაშალოს ბრძოლა ნახშირის ამოღების მზარდი გეგმების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შესრულებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ტყვარჩელქვანახშირისა“ და „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტებისა და მაღაროების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მიმდინარე წელს ორივე ტრესტმა საგრძნობლად გააუარესა მუშაობა ნახშირის ამოღების მხრივ.

„ტყვარჩელქვანახშირმა“ 1940 წლის პირველი ოთხი თვის ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 66,3 პროცენტით.

1940 წლის პირველ კვარტალში ფაქტიურად ამოღებული ქვანახშირის რაოდენობა 4 პროცენტით ნაკლებია 1939 წლის IV კვარტალში ამოღებული ქვანახშირის რაოდენობასთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აპრილი და მაისის პირველი ნახევარი კიდევ უფრო მეტ ჩამორჩენას იძლევიან ტრესტის მუშაობაში. მაისის პირველ ნახევარში ნახშირის ამოღების საღღეღამისო გეგმის შესრულებაში გაუმჯობესებას არა აქვს ადგილი.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა „ტყიბულქვანახშირშიც“, რომელმაც, მიმდინარე წლის I კვარტალში ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა მხოლოდ 81,8 პროცენტით. ძირითად სამთო - მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა ტრესტმა მხოლოდ 77,6 პროცენტით შეასრულა.

ამრიგად, მიმდინარე სამეურნეო წელი „ტყვარჩელქვანახშირმა“ და „ტყიბულქვანახშირმა“ დაიწყეს ყოველად შეუწყნარებელი ჩამორჩენით, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის შესრულებას.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს მოსამზადებელი სამუშაოების დაუშვებელი ჩამორჩენა; ტრესტების ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო სათანადოდ შეეფასებინა სამუშაოთა ამ გადამწყვეტი უბნის მნიშვნელობა.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ხელმძღვანელობა 1939 წელს მეტ ყურადღებას აქცევდა ქვანახშირის ამოღების გეგმის რაოდენობრივ შესრულებას და სათანადოდ არ იბრძოდა მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულებისათვის, ხშირად ამწმენდ სამუშაოებზე გადაჰყავდათ მოსამზადებელ სამუშაოთა ბრიგადები, რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენას.

ხელფასის ანაზღაურების არსებული პრემიალური სისტემა, ითვალისინებს რა მოსამზადებელ სამუშაოებზე ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ფაქტიურად ნაკლებ მატერიალურ წახალისებას, ვიდრე ამწმენდ სამუშაოებზე, იწვევს მოსამზადებელი სამუშაოების მუშა-ხელის დენადობას.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტი აქამდე არ აქცევს საკმაო ყურადღებას მექანიზმების გამოყენებას მოსამზადებელ სამუშაოებზე. მოსამზადებელი სამუშაოებისადმი დაუშვებელი დამოკიდებულების შედეგად ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა შესრულებულია: 1939 წელს 35,5 პროც., ხოლო 1940 წლის პირველ კვარტალში — მხოლოდ 27,7 პროცენტით. ეს ჩამორჩენა გრძელდება აპრილსა და მაისშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრესტის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ აქვთ საკმარისად შეგნებული მოსამზადებელ სამუშაოთა მნიშვნელობა ქვანახშირის ამოღების გეგმის წარმატებით შესრულებაში.

მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შეუსრულებლობამ აიძულა ტრესტი ექსპლოატაციაში გაეშვა მოუმზადებელი ლავები, რის შედეგადაც, ნაცვლად წინსვლისა, აღგილი აქვს ზოგიერთი ლავის ჩაშრეკვებისა და საინტენსიფიკაციო გამომუშავებათა ჩამორჩენას. ამის შედეგად ექსპლოატაციაში მყოფი ყველა ლავა, მცირედის გამოკლებით, გამრუდებულია, რაც შეუძლებელს ხდის არსებული მექანიზმების ნორმალურ გამოყენებას და იწვევს ლავების ნაყოფიერების დაცემას.

„ტყვარჩელქვანახშირმა“ ვერ შეასრულა 1939 წლისათვის დაგეგმილი ციკლურობა — 17 ციკლი თვეში. საშუალო ციკლურობა 1939 წელს უდრიდა 12,1 ციკლს თვეში, ხოლო 1940 წლის იანვარში 10,4-ს, თებერვალში კი—9,6 ციკლს, აპრილი და მაისი ციკლურობის ზრდის ზრივ გაუმჯობესებას არ იძლევიან. ციკლურობის გეგმის შეუსრულებლობა კი იწვევს ქვანახშირის ამოღების გეგმის ჩაშლას.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებლობის ერთერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მაღაროებში არსებული მექანიზმების სავსებით არასაკმაოდ და არაწესიერად გამოყენება.

„ტყვარჩელქვანახშირს“ მოეპოვება მექანიზმების საკმარო რაოდენობა, მაგრამ მათი გამოყენება სავსებით არადამაკმაყოფილებელია, მექანიზმების საგრძნობი ნაწილი უმოქმედოდ დგას, მოქცეულია ლავებში, ან იმყოფება შეკეთებაში. მიუხედავად მექანიზმების საკმაო რაოდენობით არსებობისა, ქვანახშირის საგრძნობი ნაწილის ამოღება სწარმოებს ხელით. 1939 წლის ნოემბერში ხელით ამოღებულია ქვანახშირის მთელი რაოდენობის 57 პროც., დეკემბერში — 56 პროც., 1940 წლის იანვარში — 63 პროც., ხოლო თებერვალში 69 პროცენტი. აღნიშნული მდგომარეობა ქვანახშირის ამოღების საქმეში ფაქტიურად ნიშნავს ანტიმექანიზატორულ განწყობილებას „ტყვარჩელქვანახშირის“ ხელმძღვანელობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მექანიზმები, რომლებიც ექსპლოატაციაში იმყოფებიან, იძლევიან გეგმით გათვალისწინებულ ნაყოფიერებაზე გაცილებით ნაკლებს.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებას აგრეთვე აბრკოლებს სამუშაო ადგილის მოუმზადებლობა. უბნის უფროსები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ცვლის სამუშაოდ გასვლის წინ სამუშაო ადგილის სათანადოდ მომზადებას და მექანიზმების მზადყოფნას, არ ამოწმებენ უბნისა და ლავების მდგომარეობას. მომზადების ცვლა ხშირად არ ამზადებს ლავებს ქვანახშირის ამომღები ცვლებისათვის, რის შედეგადაც ეს უკანასკნელები იძულებული არიან თვითონ შეასრულონ მომზადების ცვლის მიერ შეუსრულებელი სამუშაოები. ამის გამო ამ ცვლის შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად ეცემა და ზოგიერთ შემთხვევაში ქვანახშირის ამოღება საერთოდ იშლება.

„ტყვარჩელქვანახშირის“ მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ავარიებისა და გაცდენების დიდ რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი უმრავლესობა გამოწვეულია სამუშაოთა არაწესიერი ორგანიზაციით, შრომის დისციპლინის სისუსტით, მექანიზმებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, გეგმიურ-გამაფრთხილებელი შეკეთების კარგად დაუყენებით და სხვ.

1939 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ავარიებს, გაცდენილი იყო 1308 საათი, რის შედეგადაც ქვანახშირის ამოღება შემცირდა 10581 ტონით. 1940 წ. პირველ კვარტალში (20 მარტამდე) ავარიების შედეგად გაცდენილია 233 სამუშაო საათი და ქვანახშირის ამოღება შემცირებულია 3287 ტონით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოყვანილი მონაცემები არ ითვალისწინებენ გაცდენებს, რომელთა აღრიცხვა არ სწარმოებდა, ნათელი გახდება, რომ ზარალი განისაზღვრება ჯაკილებით მეტი რაოდენობით.

ტრესტის ხელმძღვანელობა არასაკმარისად იბრძვის შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. თუ 1939 წელს ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების გადაჭარბებით შესრულებას, 1940 წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერება დაეცა 1939 წლის ფაქტიურ დონესთან შედარებით 9 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ასეთი ჩამორჩენა დღემდე გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ არასაკმაოდაა გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებანი. მიუხედავად იმისა, რომ 1939 წელს მოცემული ნორმები გადაჭარბებით სრულდებოდა, სამუშაო დრო, ქრონომეტრალური მონაცემების მიხედვით, არ იყო სათანადოდ შემჭიდროებული. სამუშაო დროის სასარგებლო გამოყენება შეადგენდა 46-66 პროცენტს. ასეთივე სურათია 1940 წელსაც.

შრომის ნაყოფიერების ზრდას წინ უსწრებს ხელფასის ზრდა; შრომის ნაყოფიერება 1939 წელს შეადგენდა 1938 წლის შრომის ნაყოფიერების 119,4 პროც., ხელფასი კი — 122 პროცენტს.

1940 წლის იანვარ-თებერვალში შრომის ნაყოფიერება შეადგენს 1939 წლის IV კვარტალის შრომის ნაყოფიერების 96,5 პროც., ხელფასი კი — 97,5 პროცენტს.

შრომის დისციპლინა „ტყვარჩელქვანახშირის“ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის სუსტია. პირველ კვარტალში დათხოვნილთა 66 პროცენტს გამცდენები შეადგენენ. ტრესტის ხელმძღვანელობა (მმართველი ამხ. ვორობიოვი) შრომის დისციპლინის ბოლშევიკური განმტკიცებისათვის ბრძოლის ნაცვლად ცალკეულ შემთხვევებში კმაყოფილდება ადმინისტრირებით, რაც არსებითად ხელს უწყობს გამცდენობა რიცხვის ზრდას და ხელს უშლის ნამდვილი, შეგნებული შრომის დისციპლინის დანერგვას წარმოებაში.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობის ერთერთი ძირითადი მიზეზია, „ტყვარჩელქვანახშირში“ ტექნიკური ხელმძღვანელობის სუსტად დაყენება. 145 საინჟინრო-ტექნიკური მუშაკიდან მხოლოდ 21 კაცს აქვს უმაღლესი განათლება. ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიცაა უბნის უფროსი, მუშაობენ დაბალი კვალიფიკაციის მუშაკები.

ტრესტის ტექნიკური ხელმძღვანელობა ძირითადად ვერ სწყვეტს წარმოების პროცესში წამოჭრილ ტექნიკურ საკითხებს, რაც იწვევს სამთო სამუშაოების არაწესიერად წარმოებას.

მუშახელისა და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკების დაუშვებელი დენადობა გეგმის შეუსრულებლობის ერთერთი მიზეზია.

1939 წლის განმავლობაში „ტყვარჩელქვანახშირში“ ახლად მიღებულია 4600 მუშა, 120 ინჟინერ-ტექნიკოსი და 155 მოსამსახურე, ხოლო წლის ბოლოსათვის მათგან სამუშაოზე დარჩა მხოლოდ 682 კაცი. საკმარისია ითქვას, რომ მარტში IV უბნის ერთერთ ბრიგადაში, რომელსაც გორნი ხელმძღვანელობდა და რომელიც შესდგებოდა 5 კაცისაგან, ერთი თვის განმავლობაში შეიცვალა 15 კაცი, 4 კაცისაგან შემდგარ ბრიგადაში, რომელსაც ზუევი ხელმძღვანელობს, მარტის განმავლობაში 34 კაცი შეიცვალა და სხვ.

საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებიდან 1939 წელს მიღებულია 70 კაცი, ხოლო სამუშაოდან წავიდა 72 კაცი. 1940 წლის I კვარტალში მიღებულია 7, სამუშაოდან წასულია — 10. „ტყვარჩელქვანახშირი“ გაიქცდის საინჟინერო-ტექნიკური ძალების საგრძნობ სიმცირეს. მიუხედავად ამისა, ტრესტის ხელმძღვანელობა არ უქმნის ახლად მიღებულ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს მუშაობის ნორმალურ პირობებს. ხშირად ისინი გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე, საკმაო შესწავლის გარეშე და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა „ტყვარჩელქვანახშირში“ სუსტადაა გაშლილი. 1940 წლის თებერვალში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მუშების 86 პროცენტი, 1939 წელს სტახანოველთა რიცხვი 261, ანუ წარმოების მუშათა 30.8 პროცენტს უდრიდა. 1940 წელს სტახანოველთა რიცხვის ზრდა არადამაკმაყოფილებელია. სოცშეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა, საწარმოო გეგმების მთლიანად და ადრეჭარბებით შესრულების ეს უძლიერესი ბერკეტი, ტრესტის ხელმძღვანელობისა და პარტიულ-პროფესიული ორგანიზაციების მიერ ვერაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

ცუდად დგას უშიშროების ტექნიკის საქმეც. მექანიზმების არასწორი ექსპლოატაცია და მათი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მომსახურე პერსონალის ხშირი ცვლა და დაბალი კვალიფიკაცია, უშიშროების ტექნიკისადმი დაუშვებელ გულგრილობა იწვევს საწარმოო ტრავმატიზმის მრავალ შემთხვევას.

ტრესტის ხელმძღვანელობა ხშირად ყურადღებას არ აქცევს საბჭოთა ტექნიკური ინსპექციის მეტად მნიშვნელოვან მითითებებს და დაუშვებელ დაუდევრობას იჩენს ამ მითითებათა ცხოვრებაში გატარებისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით სამთო - ტექნიკური ინსპექციაც ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს ურნიშნულ საქმეში.

ამრიგად, „ტყვარჩელქვანახშირის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები უპირველეს ყოვლისა ტრესტის არასაკმაო სამეურნეო-ტექნიკურ ხელმძღვანელობაში მდგომარეობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ტყვარჩელქვანახშირის“ პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო და მისი მდივანი ამხ. ლეშენკო სუსტად ახორციელებენ კონტროლს წარმოებაზე, უმრავლეს შემთხვევაში წარმოების საკითხებზე პარტბიუროსა და პარტორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი შეუსრულებელი და შეუმოწმებელი რჩება.

წარმოებაში კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი არასაკმაოა. აპრილში „ტყვარჩელქვანახშირის“ პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა სკ. კ. პ. (ბ) 145 წევრი და კანდიდატი, მათგან უშუალოდ მაღაროში მუშაობს მხოლოდ 53 კაცი. წამყვან პროფესიათა მუშაკების მიღება პარტიის რიგებში ძალზე სუსტია. საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ მიღებულია მხოლოდ 41 კაცი; მათ შორის მუშაა 14, ამათგან მიწისქვეშა მუშა—6, ქალი—2. პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ცოტა აქვს გაკეთებული უბნებზე პარტიული ჯგუფების შექმნისა და კომუნისტების სწორად განაწილების მხრივ. სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა ხალგაზრდებს შორის. ამ მხრივ კომკავშირის ორგანიზაციაც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

როგორც „ტყვარჩელქვანახშირის“, ისე „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტები სუსტად იბრძვიან ქვანახშირის გეგმების ხარისხობრივი შესრულებისათვის. ამ ნიადაგზე ტრესტებმა დიდი ზარალი ნახეს და ამავე დროს ხელი შეუშალეს ქვანახშირის მომხმარებლებს საწარმოო გეგმების შესრულებაში.

საჭიროა ითქვას, რომ თუმცა „ტყიბულქვანახშირში“ გეგმების შესრულების მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ყველას ნაკლოვანებანი, რომლებსაც ადგილი აქვს „ტყვარჩელქვანახშირის“ მუშაობაში, მეტ-ნაკლებად ახასიათებს „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მუშაობასაც.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანმა** ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელობისა და რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებები და მიუთითა, რომ **„ქვანახშირის რაიონების რაიონულმა კომიტეტებმა და ტრესტების ხელმძღვანელებმა ვალდებულება უნდა აღმოფხვრან მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენა და უზრუნველჰყონ არსებული მექანიზმების მთლიანად გამოყენება. ამასთან ერთად, საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამუშაოზე მათი შენარჩუნებისათვის. ბოლო უნდა მოეღოს ავარიებს შახტებში და უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა. მხოლოდ ამ პირობით შესძლებენ ტრესტები „ტყიბულქვანახშირი“ და „ტყვარჩელქვანახშირი“ ქვანახშირის მოღების გეგმის შესრულებას“.**

მიმდინარე წლის აპრილში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა „ტყიბულქანახშირისა“ და „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტების მუშაობა და მიიღო საჭირო ღონისძიებანი მათ მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად, ნახშირის ამოღების 1940 წლის გეგმის შესასრულებლად.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და ოჩამჩირისა და ტყიბულის რაიკომებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება ტრესტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, დარაზმონ მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი კოლექტივი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის.

ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელობამ ამხანაგებმა ჩიკვაიძემ, ვორობიოვმა და მაღაროებისა და შახტების პარტიულ-პროფესიულმა ორგანიზაციებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილებიდან. მათ გააჩნიათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ნამდვილად შეასრულონ მათთვის მიცემული საწარმოო დავალება ქვანახშირის ამოღების 1940 წლის გეგმის შესრულების შესახებ.

ყველაფერი დამოკიდებულია ტრესტების ხელმძღვანელებზე და მათ მიერ, მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა მთელი კოლექტივის მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

ქრონიკა

14 მაისს მოსკოვიდან ბერლინს თვითმფრინავით გაემგზავრნენ საბოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვ. ს. მოლოკოვი, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. მ. ფ. კარტუშევი და აეროფლოტის ხელმძღვანელ თანამშრომელთა ჯგუფი, რომელნიც მიწვეულნი არიან გერმანიის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზოგადოება „ლიუფტჰანზის“ მიერ.

მოსკოვს ჩამოვიდა შვეციის სავაჭრო დელეგაცია

14 მაისს მოსკოვს ჩამოვიდა შვეციის სავაჭრო დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის თავმჯდომარე, მეურნეობის რეგულირების მინისტრი ბ-ნი გ. ერიქსონი და დელეგაციის წევრები — ბ-ნი რ. ფონ ჰეიდენსტამი, ბ-ნი ა. ლინდენი, ბ-ნი ვ. ვეტინ, ბ-ნი გ. ვ. ანდერსონი, ბ-ნი ს. ე. ლუნდბერგი, ბ-ნი კ. ე. შეგრენი, ბ-ნი გ. სილვერსტოლპე, ბ-ნი რ. სოლმანი, ბ-ნი გ. ფალენიუსი, ბ-ნი კ. ბოეკი, ბ-ნი გ. ბოლანდერი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა შვეციის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. ასარსონი.

ცენტრალურ აეროპორტზე დელეგაციას შეეგებნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. ს. სტეპანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი შვეციაში მ. ა. ნიკიტინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. პ. ფ. ორლოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა და სკანდინავიის ქვეყნების სექტორის უფროსი ამხ. ს. ლ. ანდრეევი, საგარეო ვაჭრობის სახკომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ამხ. ს. ა. ვშივკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეფერენტი შვეციის ხაზით ამხ. ა. ფ. დობროხოტოვი, აგრეთვე შვეციის მისიის შემადგენლობა, შვეციის საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ვილერ-შელპინის მეთაურობით.

ღონისძიებანი ინგლისში გერმანიის მოსალოდნელი საჰაერო შეტევის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). ინგლისში გერმანიის საჰაერო ტო დესანტთა მოსალოდნელი გადასხმის შიშით, ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიფრთხილის ფართო ღონისძიებანი მიიღეს. ეს ღონისძიებანი ვრცელდებიან ინგლისის როგორც სანაპირო, ისე შიდა რაიონებზე. ყველა საპოლიციო უბანი მომარაგებულია დიდძალი იარაღით და საომარი მასალით. პოლიციის მეთაურთა შემადგენლობის ნაწილი გასული კურსის დამლევს შეიარაღებულ იქნა ავტომატური რევოლვერებით. ზოგიერთ ქალაქში პოლიციის უმცროს მეთაურთა მთელ შემადგენლობას მაშინაც კი, როცა იგი სამსახურის მოვალეობას არ ასრულებს, თან აქვს შაშხანები და ვაზნები. განსაკუთრებულ გარემოებათა შემთხვევისათვის მობილიზებულია ჯარისა და პოლიციის დიდი ძალები. მოწყობილია რამდენიმე ათასი პატარა მოძრავი სამედიცინო რაზმი. ეს რაზმები განგაშის პირველი სიგნალისთანავე მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით გაიგზავნებიან საშიშ ადგილებში შაშხანებით, ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულნი. ინგლისის ყველა რაიონში დაიგზავნა მსუბუქი ტანკები. გუშინ ზოგიერთ გზაზე პოლიციის ხელისუფლების წარმომადგენლებმა რამდენიმე ასეული ავტომობილი და მოტოციკლი გააჩერეს მგზავრთა გაჩხრეკის მიზნით. სასტიკი ზომებია მიღებული ინგლისის სანაპიროს გასწვრივ. ბევრ რაიონში, სადაც არის ბეროდრომები და ძირითადი საგზაო მაგისტრალები, აგებულია ბარიკადები და მოწყობილია სპეციალური შეიარაღებული პოსტები. პოლიციის გაძლიერებული პატრულები დაყენებულია აგრეთვე ტყიანი რაიონების ღია ადგილებში. ლონდონში პოლიციის ათასობით ოფიცერმა მიიღო ახალი ინსტრუქციები პარაშუტისტებთან ბრძოლის შესახებ.

საომარი მოქმედება ჰაერში

ბერლინი, 14 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღემდე მიღებული ცნობების თანახმად, დღევანდელი დღის განმავლობაში სედანის რაიონში გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა მტრის 70 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

საომარი მოქმედება ჰოლანდიასა და ბელგიაში

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 14 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „ჰოლანდიაში ჩვენ მოვახერხეთ ოპერაციების გაფართოება გრაბეს თავდაცვითი ხაზის ზონაში, ამერსფორტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, და წავიწიეთ წინ უტრეხტის მიმართულებით. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის ძალები დორტრეხტის მახლობლად და როტერდამს მიაღწიეს. შემდეგ სამხრეთით ჩვენი ჯარები მიიწევენ ბრედას გავლით მდინარე ვლერდის შესართავისაკენ. გერმანიის ჯარებმა აიღეს როზენდაალი. ბელგიაში ჩვენი ჯარები გუშინ გადავიდნენ ტიურნჰუტის არხს, ამავე სახელწოდების ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნამიურის ჩრდილოეთით ჩვენი ჯავშან-სატანკო ჯარის ნაწილები მისდევენ მოწინააღმდეგის მსუბუქ ჯავშან-სატანკო ჯარის ნაწილებს. მოწინააღმდეგის ჯარები დემორალიზებული არიან წინანდელი იერიშებით ჰაერიდან და ხმელეთზე და უკან იხევენ დილის რაიონში გამაგრებული პოზიციებისაკენ.

გერმანიის ჯარმა დაიკავა როტერდამი

ბერლინი, 14 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „გერმანიის მოპიკრე ყუმბარმშენთა თავდასხმების შედეგად და გერმანიის ჯავშან-სატანკო ნაწილების მიწოლით ქალაქი როტერდამი დაგვწებდა, რის გამოც თავიდან აცილებულ იქნა მისი განადგურება.

ჩრდილოეთ ბელგიაში გერმანიის ჯავშან-სატანკო ნაწილებმა, მისდევდნენ რა უკანდახეულ მტერს, მიაღწიეს ლინიის იმ ადგილს, სადაც 1815 წელს ისტორიული ბრძოლა მოხდა“.

„ფელკიშერ ბეობახტერი“ მაჟინოს ხაზთან მომხდარი ბრძოლის შესახებ

ბერლინი, 14 მაისი (საკდესი). „ფელკიშერ ბეობახტერი“ ჰბეჭდავს ცნობას იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც მოხდა 12 მაისს მაჟინოს ხაზის მეწინავე ზონაში. 12 მაისს დილით, — სწერს გაზეთი, — დაიწყო გერმანიის ჯარის ნაწილების შეტევა მტრის მეწინავე სიმაგრეებზე. მტერს მოულოდნელად დავესხით თავს, მაგრამ იგი მედგრად იცავდა თავის გამაგრებულ პუნქტებს. ცალკეულ უბნებზე ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა. გერმანიის არტილერიამ ძლიერი ცეცხლი გაუხსნა საფრანგეთის სიმაგრეთა წინააღმდეგ. გერმანიის ქვ

საკოლმეურნეო შრომის გამარჯვების ბრწყინვალე დემონსტრაცია

ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა გამოფენაზე

ჭობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა ბრწყინვალე წარმატებებით მიდის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ამ მეურნეობამ ჩაის მოსავლიანობის გადიდების მხრივ საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის მოწინავე ადგილი დაიკავა.

გასულ წელს ოჩხამურის ორდენოსანმა საბჭოთა მეურნეობამ ჩაის საშუალო მოსავლიანობა 3297 კილოგრამამდე აიყვანა, სახელმწიფოს ჩააბარა 1.718.171 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმის 106,2 პროცენტი. პირველი ხარისხის ფოთლის ჩაბარების გეგმა შესრულებულ იქნა 106,2 პროცენტით. კილოგრამი ჩაის ფოთლის თვითღირებულება შემცირდა 2,9 პროცენტით.

ასეთი წარმატების შედეგად მეურნეობა რენტაბელური გახდა. მან 1939 წელი დაამთავრა 549.700 მანეთის მოგებით.

ამ წარმატებას ჩვენ იმით მივაღწიეთ, რომ განუხრელად ვასრულებდით ბოლშევიკების და ვამდიდრებდით შას სტახანოველთა მდიდარი გამოცდილებით.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული ჩაის პლანტაციებში სადრენაჟო არხების გაყვანისა და ქარსაფარი ზოლების მოწყობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ჩაის იმ 788,3 ჰექტარ პლანტაციაში, რომელიც მეურნეობას ეკუთვნის, გაყვანილია 165.700 გრძივი მეტრი სადრენაჟო არხი და 42.540 გრძივ მეტრზე მოწყობილია ქარსაფარი ზოლები მარად მწვანე ლეკნარეებისაგან.

ჩაის პლანტაციებში მინერალური და ორგანიული სასუქები შეგვაქვს ცალკეული ნაკვეთისა და ბუჩქის ბედმარეობის გათვალისწინებით, შეტანის დროს ვითვალისწინებთ იმას, რომ სასუქების გავლენა უფრო ეფექტიური იყოს. საზამთრო გადაბარვისას პლანტაციებში შეგვაქვს ფოსფორიანი სასუქები. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ მაღალმოსავლიან უბნებზე ბუჩქი მეტ აზოტოვან სასუქს საჭიროებს.

მეურნეობის მთელი ტერიტორია დაყოფილი გვაქვს 7 განყოფილებად და 38 საწარმოო უბნად. ყოველ უბანს მომსახურებას უწევს მასზე მიმაგრებული საწარმოო ბრიგადა, რომელშიაც 20-25 მუშახელია გაერთიანებული. თვითეულ ბრიგადას აქვს თავისი უბნის დეტალურად შემუშავებული წლიური საწარმოო დავალება. მთელი მუშაობა აგებულია ინდივიდუალურ-სანარდო სისტემაზე. ყველა სახის სამუშაოზე დაწესებულია გამომუშავების ნორმები და ცალკე აღირიცხება თვითეული მუშის გამომუშავება. შრომის ანაზღაურება ხდება პროგრესიული, სანარდო სისტემით.

შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ოდენობის შემოწმება ხდება ყოველდღიურად. მუშაობის დაწყებამდე ბრიგადის დავალება ნაწილდება მუშებს შორის, ხოლო ყოველი მუშა ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების წესით იღებს კონკრეტულ ვალდებულებას დღიური ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მუშაობის ასეთმა სისტემამ დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 38 ბრიგადა და 837 მუშა და სპეციალისტი. სისტემატიურად მოწმდება ათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა. ეს კი დიდად უწყობს ხელს სტახანოველთა რიგების ზრდას. ამჟამად მეურნეობაში 556 სტახანოველია, რაც მუშათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ყოველივე ამის შედეგად დღითიდღე მრავლდებიან სოციალისტური შრომის ოსტატები. მეურნეობის საუკეთესო სტახანოველი ანასტასია ქოვალიოვა, რომელიც ოთხმაგად და ქიდევ მეტად ასრულებდა დღიურ ნორმებს, დაჯილდოებულია „კვების ინდუსტრიის ფრიადოსნის ნიშნით“. 1939 წლის სეზონში ამხ. ქოვალიოვამ მოჰკრიფა 4874 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ქოვალიოვა მკრეფავებს დიდ დახმარებას უწევდა ორივე ხელით კრეფის ტექნიკის დაუფლებაში. მან ეს ტექნიკა შეასწავლა 12 მკრეფავს, რომლებიც ახლა ბრიგადაში მოწინავე სტახანოველებად ითვლებიან.

ამხ. ნადეჟდა პარაშჩუკოვა 1932 წლიდან მუშაობს მეურნეობაში, 1938 წლის სეზონში მან მოჰკრიფა 3.098 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და 1939 წელს წამოყენებულ იქნა საწარმოო უბნის ბრიგადირად.

მთავარი ხერხი, რომელსაც მიმართავენ ჩაის კრეფის ოსტატები სტახანოვური მაჩვენებლების მისაღწევად, ეს არის მწკრივთა განაწილება მკრეფავებს შორის ისე, რომ მათ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისათვის სამუშაო დრო არ დაჰკარგონ. ამავე მიზნით მოკრეფილი ჩაის მიღება ხდებოდა ბუჩქთანვე.

სტახანოვური შრომის შედეგად დღითი-დღე იზრდება მუშათა ხელფასი. საუკეთესო სტახანოველთა გამომუშავება წლიურად 10.000 მანეთამდე აღწევს. სტახანოველი მუშის ნიკიტა ვერბიცკის ოჯახმა გასულ წელს 10.400 მანეთი გამოიმუშავა, ხოლო მარტო ანასტასია კოვალიოვამ — 7.255 მანეთი.

ოჩხამურის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელმაც მოიპოვა 1940 წლის გამოფენაში ფართო ჩვენებით მონაწილეობის უფლება, აღფრთოვანებული მაღალი ჯილდოთი, იბრძოლებს იმისათვის, რომ განამტკიცოს მიღწეული წარმატებები და ახალი გამარჯვებები მოიპოვოს მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმების შესრულებაში.

ვ. ვეკუა

ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ახალი ვალდებულება

ბათუმი, 13 მაისი (საქდესი). ჭობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას. ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა 125 პროცენტით. ახალგაშენებული პლანტაციებიდან 30 ჰექტარი ლიმონია. კოლმეურნეობა მომზადებული შეხვდა ჩაის კრეფის სეზონს და აჭარაში ყველაზე უწინ დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. დღეისათვის მოკრეფილია 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა, რომ 15 მაისს დაამთავრებს ერთწლიანი კულტურების თესვას.

მოძმე რესპუბლიკების პავილიონები

ჩვენთან ბევრ ახალს ნახავთ

მე. ამ წერილით მივმართავ ჩვენს ამხანაგებს — სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს საქართველოს სს რესპუბლიკიდან. კეთილი იყოს ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი მოსვლა ჩვენი უკრაინის პავილიონში. წელს ჩვენ მნიშვნელოვნად შევცვალეთ უკრაინის სოფლის მეურნეობის ჩვენების შინაარსი და ახლა ჩვენთან ბევრ ახალს ნახავთ.

პავილიონში ფართოდ არის ნაჩვენები უკრაინის კოლმეურნეების მიერ პარტიის ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულება მეცხოველეობის შესახებ. ჩვენ ვაჩვენებთ აგრეთვე მეცხოველეობის სამრეწველო მნიშვნელობას, წმინდა ჯიშის პირუტყვის უპირატესობას ამ მხრივ, გამოყვანილი ტყავის და ტყავის ნაწარმის ექსპონატები აგიტაციას გასწევენ წმინდა ჯიშის პირუტყვის სასარგებლოდ, გვიამბობენ იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც ასეთ მეცხოველეობას მოაქვს კოლმეურნეთათვის.

ნაჩვენები იქნება აგრეთვე ხალხური ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები: კერამიკა, ქარგვა და სხვ. მათ შორის ნახავთ კარპატის მთიელ-გუცულების ნაწარმოებებს. მხატვრული ალბომები გვიამბობენ გუცულებისა და წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული დასავლეთი უკრაინის ოლქების ძველ ცხოვრებაზე პოლონელი პანების ბატონობის შავბნელ წლებში და მათი დღევანდელი ცხოვრების შესახებ სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ.

გამოფენის გახსნისთანავე ჩვენ შევუდგებით უკრაინის სოფლის მეურნეობის ძვირფასი გამოცდილების პროპაგანდას ჩვენს სტუმრებს შორის. ამ მუშაობას საქართველოდან ჩამოსულ ექსკურსანტთა შორის ჩვენ ჩავატარებთ საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონთან მჭიდრო კავშირში. ჩვენ ერთად დავამყარებთ მჭიდრო კავშირს უკრაინიდან და საქართველოდან ჩამოსულ ექსკურსანტებსა და გამოფენის მონაწილეთა შორის. შეხვედრას, საუბრებს, მუშაობის დარგში ურთიერთვალდებულებებს — მასობრივი მოღვაწეობის ამ ფორმებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებდით გასულ წელს და რომლებიც ხელს უწყობდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდას ორივე რესპუბლიკაში, წელსაც გამოვიყენებთ უფრო დიდი მასშტაბით. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს რესპუბლიკური პრესაც.

ი. ფ. გოგოლი

უკრაინის სსრ პავილიონის დირექტორი.

აზერბაიჯანის პავილიონი

აზერბაიჯანის პავილიონის მთავარ დარბაზში მთელი სიგრძით დადგმულია სამურ-დივიჩის არხის კედელი—პანორამა. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს საქართველოდან უთუოდ წაკითხული აქვთ აზერბაიჯანის კოლმეურნეების ამ შესანიშნავი მიღწევის შესახებ. ახლა ისინი ნახავენ ამ არხის მხატვრულ სურათს.

ჩვენ აგრეთვე ფართოდ გვეცნობით მათ გამოფენის ორ მონაწილეს. ეს მონაწილეებია იზმაილოვის რაიონი, რომელმაც ბამბის მოყვანაში პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკაში, მთლიანად დააკმაყოფილა რა მთავარი საგამოფენო კომიტეტის მაჩვენებლები და შემავსის — მეცხვარეობის მოწინავე რაიონი. დარბაზში მთავარი სტენდი დათმობილი აქვს ა. ალიევას გამოცდილების ჩვენებას. ალიევამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა მეზამბეობაში. სამი წლის განმავლობაში ის ჰექტარზე საშუალოდ აღებდა 150 ცენტნერ ბამბას.

ამით არ განისაზღვრება ჩვენი პავილიონის სიახლე. ჩვენ ვუჩვენებთ აზერბაიჯანის ახალ მიღწევებს კაუჩუკოვანთა გაშენების საქმეში — ათვისებულია გვაიულის კულტურა, ვაჩვენებთ საბურღაგი მანქანის მომქმედ მოდელს და კრეკინგ-ქარხნის მუშაობას.

ჩვენ დიდი სიხარულით ველით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პირველ ექსკურსანტებს და მათ შორის მომძე საქართველოს კოლმეურნეებს.

გ. დ. არუსთამოვი

აზერბაიჯანის სსრ პავილიონის დირექტორი.

სიხარულით ველით ქართველ სტუმრებს

წელს ჩვენი პავილიონის 80 პროცენტი განახლებულია. პავილიონი გამდიდრებულია ნატურალური ექსპონატებით. ბევრი ცვლილებაა პავილიონის გაფორმებაში. პავილიონში შესვლისას სტუმრები კედელზე ნახავენ იშვიათ ნოხს, რომელზედაც ნოხის მქსოველი მხატვრის კარაფიკიანის მიერ ამოქარგულია დიდი **სტალინის** პორტრეტი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიცხვი სომხეთიდან წელს 1700-დან გაიზარდა 4000-დე. მარტო ეს ფაქტი ნათლად მოწმობს სომხეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უდიდეს ზრდას.

ჩვენი ამოცანა იყო რაც შეიძლება სრულად და სტუმართათვის გასაგებად გვეამბნა ამ ზრდის შესახებ. ჩვენ ფართოდ გავეცნობით კარებს ჩვენს სტუმრებს. მათ შორის ჩვენ განსაკუთრებული სიხარულით შევხვდებით მომძე საქართველოს კოლმეურნეებს.

გასულ წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ დიდად შეუწყო ხელი სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეთა საქმიან კავშირს, მათი გამოცდილებების ურთიერთშორის გაზიარებას.

ეჭვი არ არის, რომ 1940 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ახალი მძლავრი ბიძგი იქნება კოლმეურნეთა შორის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის.

ზ. ა. ბრიგოლრიანი

სომხეთის სსრ პავილიონის დირექტორი.

აღბულაღის რაიონის სოფ. ასტრეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მწყემსი, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე **ვანო ლოლაშვილი.**

გამოფენის გახსნას ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ

სოფელ ნაიდორფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას 15 მაისს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის შესახებ. სტალინის სახელობის ნაიდორფის კოლმეურნეობა ერთერთი ყველაზე უფრო მოწინავე კოლმეურნეობაა სოხუმის რაიონში. შარშან შესანიშნავი წარმატების გამო თამბაქოს მოსავლიანობისათვის ბრძოლაში კოლმეურნეობამ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიიღო მეორე ხარისხის დიპლომი. 1939 წელს ახალი საწარმოო მიღწევებისათვის კოლმეურნეობა კვლავ დამტკიცებულია 1940 წლის გამოფენის მონაწილედ.

გამოფენის გახსნას კოლმეურნეობა საგანგაშო სამუშაოთა ყველა გეგმის წარმატებით შესრულებით შეხვდა თავის დროზე მოხნულია ნიადაგი ყველა კულტურებისათვის, დამთავრებულია სიმინდის თესვა, ციტრუსოვან პლანტაციებზე ხეხილის პირველი შეწამვლა. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ცნობილია თავისი შესანიშნავი ციტრუსოვანი პლანტაციებით და ხეხილის ბაღებით. 93 ჰექტარზე კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, 7 ჰექტარი უკავია ციტრუსოვან მცენარეს და ამდენივე ვაზს. ამას გარდა, წელს გაშენებულია 6 ჰექტარი ხეხილი და 6 ჰექტარი ფორთოხალი და მანდარინი.

კოლმეურნეობას მეცხოველეობის სამი ფერმა აქვს — სარძო-სასაქონლო, მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმა. უკანასკნელი ორი ფერმა მოწყობილია წელს.

სტალინის სახელობის ნაიდორფის კოლმეურნეობის 8 საუკეთესო სტახანოველი დამტკიცებულია წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად. (საქდესი).

თითო ძროხაზე 3.218 ლიტრი რძე მიიღეს

თბილისის რაიონის ნავთლუღის ს. ორჯონიკიძის სახელობის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ლ. ჯაფარიძე) ერთერთი მოწინავე საბჭოთა მეურნეობაა საქართველოში. იგი 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა მეცხოველეობის მაღალი მაჩვენებლით და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ იქნა მეორე ხარისხის დიპლომით.

საბჭოთა მეურნეობა კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხვდება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. 1937 წელს აქ თითო ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 3.196 ლიტრი რძე, 1938 წელს—3.212, შარშან კი — 3.247. ამ წლებში საბჭოთა მეურნეობამ უზრუნველჰყო თითო საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 3.218 ლიტრი რძის მიღება.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნავთლუღის ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ ქვეყანას მისცა 1.202.400 ლიტრი რძე და მიიღო 657.194 მანეთი წმინდა მოგება. მწველავმა ბ. კიურეგიანმა, რომელსაც 13 ძროხა აბარია, 1938 წელს თითო ძროხაზე საშუალოდ 3.396 ლიტრი რძე მიიღო, შარშან კი—3.697 ლიტრი. მწველავმა მარო რედკამემ 1938 წელს უზრუნველჰყო თითო ძროხაზე საშუალოდ 3.460 ლიტრი რძის მიღება, 1939 წელს კი—3.714 ლიტრისა.

ასეთივე წარმატებები გვიჩვენეს აქ მწველავებმა ზ. ვარსიმაშვილმა, ა. ოდიკაძემ, პოლინა პერეპელიცამ მარო ოდიკაძემ, ა. კირეგიანმა, თამარ ბარძიმაძემ და სხვ. კერძოდ ელენე პრენკოს ბრიგადამ, რომელზედაც 90 ძროხაა მიმაგრებული მოსავლელად, 1938 წელს თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღო 3.280 ლიტრი რძე, შარშან კი—3.410 ლიტრი.

სტახანოველთა ამ წარმატებებში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის ფერმის გამგეს ზოოტექნიკოს შ. გოგოძეს, რომელიც აქ 10 წელია რაც მუშაობს.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს წელს გადაწყვეტილი აქვს თითო საფურაჟე ძროხაზე (აქ სულ 360-მდე ძროხაა) საშუალოდ მიიღოს 3.600 ლიტრი რძე, მთლიანად შეინარჩუნოს და გამოზარდოს ნამატი, ჰექტარზე უზრუნველჰყოს საშუალოდ 500 ცენტნერი პირუტყვის საკვები ჭარხლის მიღება, ნაცვლად შარშანდელი 300 ცენტნერისა, და სხვ. ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით საბჭოთა მეურნეობას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ბაკიჩეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

ამჟამად ნავთლუღის საბჭოთა მეურნეობის ფერმაში, სადაც პირუტყვი წითელი გერმანული ჯიშისაა, ძროხების 70 პროცენტზე მეტი ჩაწერილია სარაიონო და სახელმწიფო საჯიშე წიგნში. საბჭოთა მეურნეობა საქართველოს კოლეურნეობებს ყოველწლიურად სახელმწიფო ფასებში აწვდის 150-მდე წმინდა ჯიშის ფურს და ამდენივე საბუღეს.

ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობა და მისი 10 მოწინავე მუშაკი დამტკიცებულია 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ.

ბრ. თოდრაძე.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ხედი ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი.

ს. კორჭი

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის რედაქტორი

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვა 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

როგორც ცნობილია, 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იყო არა მარტო სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება, არამედ შესანიშნავი მასობრივი სკოლაც, ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტი, სადაც მილიონები სწავლობდნენ მაღალი მოსავლიანობისათვის, მაღალი წველადობისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობისათვის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ბრძოლის ოსტატობას.

საკოლმეურნეო სოფელმა გაგზავნა ასიათასობით ადამიანი, რომლებიც ყურადღებით სწავლობდნენ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებას, რათა გადაეტანათ იგი თავიანთ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში.

გამოფენა გახდა მძლავრი ორგანიზატორი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების სრულიად-საკავშირო ოპიციალისტური შეჯიბრებისა სოფლის მეურნეობის დარგში მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ათიათასობით ახალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, ფერმები, ბრიგადები, სოციალისტური სოფლის ასიათასობით მოწინავენი აღწევდნენ შესანიშნავ გამარჯვებებს და მოიპოვეს 1940 წლის გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

15 მაისს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყველა მის მრავალრიცხოვან სასახლე-პავილიონზე აფრიალდა ალისფერი ალმები. ფართოდ გაიღო პავილიონების კარი ძვირფასი სტუმრებისათვის; კვლავ, როგორც გასულ წელსაც, საკოლმეურნეო სოფლიდან ჩამოკლენ ასიათასობით კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, რათა შეისწავლონ სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატების გამოცდილება, გამოიყენონ იგი თავიანთ კოლმეურნეობებში.

ახალ გამარჯვებებში, რომლებიც სოციალისტურმა სოფელმა უკანასკნელ წელს ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა, მცირე როლი როდი შეასრულა ჩვენმა ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ.

ათასობით გაზეთები, რედაქციების მუშაკები და კორესპონდენტები თვითონ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის. ისინი ბოლშევიკურად ჩაუდგნენ სათავეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, მათი მოწინავეების შეჯიბრებას სოციალისტური მიწათმოქმედების მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაში 1940 წელს მონაწილეობის მიღებისათვის.

საბჭოთა კავშირის მოწინავე გაზეთებმა ფართოდ გადაუშალეს თავიანთი ფურცლები გამოფენის მონაწილეებს, ყოველდღიურად ეწეოდნენ მათი გამოცდილების პროპაგანდას, აქტიურად იბრძოდნენ ამ გამოცდილების დასაწერგავად თავიანთი რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში და ამით ეხმარებოდნენ 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა რიგების გამრავლებას.

ის რატომ არის, რომ სოციალისტური სოფლის მოწინავე მეურნეობებთან, საკოლმეურნეო სოფლის ასიათასობით მოწინავეებთან ერთად გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ასობით მოწინავე გაზეთებმა, რედაქტორებმა, რედაქციების მუშაკებმა და გაზეთების კორესპონდენტებმა, მრავალმა ეროვნულმა და საოლქო სამეურნეო გამომცემლობამ, რომელთა შორის ისეთი ცნობილი გაზეთები, როგორიც არის „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაზეთი „აფსნი კაპში“, ახალგაზრდობის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, „საბჭოთა სუბტროპიკები“, 13 რაიონული გაზეთი, 2 კედლის გაზეთი და 27 ბეჭდვითი სიტყვის მოწინავე.

საქართველოს მოწინავე გაზეთებმა და მათმა მუშაკებმა გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვეს ბოლშევიკური ბრძოლით **სტალინური** მოსავლისათვის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის განვითარებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ეს გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეჯიბრებას გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, ამავროულებდნენ მოწინავეთა გამოცდილებას, იბრძოდნენ მისი გავრცელებისათვის საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ გასულ წელს მიღწეულ შესანიშნავ შედეგებში, 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა რაოდენობის გასამკეცებაში საქართველოს რესპუბლიკაში მცირე როლი როდი ითამაშეს მოწინავე გაზეთებმა — ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის ექსპონენტებმა. ამ გაზეთებმა დიდი ინიციატივა გამოიჩინეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროპაგანდაში.

ასე, მაგალითად, „სტალინელმა“, გაზეთმა, რომელიც გამოდის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სამშობლოში, ქალაქ გორში, მოაწყო გამოფენის მონაწილეების — მამულაშვილისა და სინაშვილის შეხვედრა სოფელ ბერბუკის და ზემოსკრის კოლმეურნეებთან.

სილნაის რაიონის გაზეთმა „კოლმეურნემ“ შემოიღო 1940 წლის გამოფენის მომზადებისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდი.

გაზეთებმა — პავილიონის ექსპონენტებმა გაზეთის მუშაობაში ჩაიბეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი — გამოფენის მონაწილენი.

ზუგდიდის რაიონის გაზეთმა „მებრძოლმა“ გაზეთის მუშაობაში, გამოცდილების პროპაგანდაში მონაწილეობა მიაღებინა არა მარტო სოფლის მეურნეობის ოსტატებს, არამედ 50 სპეციალისტსაც.

სოფლის მეურნეობის სტახანოველების, მოწინავეების, სპეციალისტების მიზიდვამ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა გაზეთში კონკრეტული, ქმედითი, დამაჯერებელი გახადა.

მახარაძის რაიონის გაზეთმა „ლენინის დროშამ“ დიდი ინიციატივა გამოიჩინა კოლმეურნეთა შეჯიბრების ორგანიზაციაში გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის. გაზეთის ინიციატივით კოლმეურნეობებისა და მოწინავეებისათვის შემოღებულ იქნა გარდამავალი წითელი დროშები. „ლენინის დროშა“ ბოლშევიკურად ჩაუდგა სათავეში თავისი რაიონის 30 კოლმეურნეობის შეჯიბრებას 1940 წლის გამოფენაში მონაწილეობის სპატიო უფლებისათვის.

პავილიონის ექსპონენტთა შორის არის აგრეთვე 1939 წლის გამოფენის მონაწილე, ლაგოდეხის რაიონის გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“, რომელიც ფართო პროპაგანდას უწევს მეთამბაქოე სტახანოველთა, კერძოდ თამბაქოს მაღალი მოსავლის ოსტატის ბოსტანჯიანის გამოცდილებას. ამ გაზეთმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულა იმ მხრივაც, რომ 1939 წლის გამოფენის 119 მონაწილე მოწინავის ნაცვლად მომდინარე წელს გამოფენაზე წარდგენილია რაიონის 300-ზე მეტი მოწინავე.

ქობულეთის რაიონის გაზეთი „ქობულეთელი კოლმეურნე“ შესანიშნავია თავისი ბრძოლით ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების მაღალი მოსავლისათვის. გაზეთი ფართოდ აშუქებს ჩაის მაღალი მოსავლის ოსტატთა, კერძოდ, ჩაის ფოთლის მკრეფავის ხატიჯე კაკაბაძის გამოცდილებას.

ბორჯომის რაიონის გაზეთი „ბოლშევიკური ტემპით“ ფართოდ აშუქებს მოწინავე მეცხოველეებს — ორდენოსან ელენე ბარძიმაძის და ტარიელ მელიქაძის გამოცდილებას.

მომდინარე წლის გამოფენის ყველა მონაწილე გაზეთმა შეჯიბრების მსვლელობაში განამტკიცა თავისი კავშირი მასებთან, გააღიდა მუშა-სოფლკორთა რაოდენობა, გაზეთში აქტიური მონაწილეობისათვის მიიზიდა მოწინავენი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ოსტატები. ეს გაზეთები დიდ დახმარებას უწევენ კედლის გაზეთებს, ზრდიან და ასწავლიან კედლის გაზეთების რედაქტორებსა და სოფლკორებს, ატარებენ რედაქტორებისა და სოფლკორების თათბირებს — შეკრებებს, აწყობენ მათთვის კონსულტაციებს.

გაზეთის — „ბრძოლა თამბაქოსათვის“ გარშემო შეკრებილია 300 სოფლკორისაგან შემდგარი აქტივი, მათ შორის 50 აგრონომი და მასწავლებელია. ამ გაზეთს მჭიდრო კავშირი აქვს თავისი რაიონის იმ მცხოვრებლებთან, რომლებიც გაწვეული არიან წოდების არმიის რიგებში, იგი უნარიანად ზრდის მცხოვრებლებს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

პავილიონში ნაჩვენები იქნება საქართველოს მოწინავე გაზეთების გამოცდილება. აქ გამოფენილი იქნება გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „საბჭოთა სუბტროპიკების“, „კოლმეურნის“ და სხვა გაზეთების კომპლექტები და ალბომები.

ძირეული პრესის სტენდზე ნაჩვენები იქნება ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „სტახანოველი“. ეს გაზეთი შესანიშნავად იბრძოდა ყურძნის მაღალი მოსავლისათვის.

პავილიონში ნაჩვენები იქნება აგრეთვე საქართველოს სახელგამის ბროდუქცია, ლიტერატურა, მიძღვნილი ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი.

პავილიონის შესავალში მნახველთა ყურადღებას მიიპყრობს დიდი ვიტრინა, სადაც ნაჩვენები იქნება საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა. აქ გამოფენილია გაზეთი „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“ ფერადოვანი ნომრები, მიძღვნილი ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი, ფერადოვანი ნომრები გაზეთებისა, რომლებიც მიძღვნილი იყო შოთა რუსთაველის იუბილესადმი, აგრეთვე სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროპაგანდისადმი.

რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ გამოცდილება და ინიციატივა ნაჩვენები იქნება პავილიონის მთავარ დარბაზში რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ბეჭდვითი სიტყვის სტენდზე.

შეჯიბრების მსვლელობაში თავისი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ ბევრად გაადიდა 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ძირეული პრესა სუსტად არის წარმოდგენილი. უეჭველია, საქართველოში ბევრია მეძროხეობის კედლის გაზეთი, რომელიც აკმაყოფილებს მთავარი საგამოფენო კომიტეტის მოთხოვნილებებს და ღირსია გამოფენაზე წარდგენისა.

1940 წლის გამოფენაზე საქართველოს ძირეული პრესა რომ სუსტად არის წარმოდგენილი, ეს ცალკეული რაიონული გაზეთების მხრივ კედლის გაზეთებისადმი არასაკმაო ყურადღებისა და დახმარების შედეგია.

ბეჭდვითი სიტყვის პავილიონში, სადაც წარმოდგენილი არიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო გაზეთები, თითქოს აკუმულატორში, თავმოყრილია საბჭოთა კავშირის გაზეთების უდიდესი გამოცდილება.

გამოფენის ექსპონენტების—მოწინავე გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობებისაგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ. გამოფენის ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი ხელს შეუწყობს ამ გამოცდილების გადაცემას ყველა გაზეთის, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშაკისა და კორესპონდენტისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლით, საბჭოთა კავშირის მოწინავე გაზეთების — გამოფენის მონაწილეების გამოცდილების გადმოღებით საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა მიაღწევს ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს, გახდება **ლენინ-სტალინის** პარტიის უ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԺԱՄԱՆԱԿԻ ԽՄԲԱԳՐԱԿԱՆ ԿԱԶՄԻ ՀԱՆԴԻՍԱՎՈՐ ԱՇԽԱՏԱԿԻՑՆԵՐԸ

Ա. Հ. ՀԱՄԱՀԱՆ ԱՆՎԱՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՆԱՍՆԱՎՈՐԱԿԱՆ ՈՒՍՈՒՄՆԱԿԱՆ ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅԱՆ ՊԱՏՄԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՇԽԱՏԱՆՔՆԵՐԻ ԲԱԺՆԻ ՎԱՐԻՉ

1940 թ. 17-ՐԴ ԴԱՍԱՐԱՆԻ ՀԱՄԱՐ ԱՆՎԱՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԱՆԱՍՆԱՎՈՐԱԿԱՆ ՈՒՍՈՒՄՆԱԿԱՆ ՀԱՍՏԱՏՈՒԹՅԱՆ ՊԱՏՄԱԲԱՆԱԿԱՆ ԱՇԽԱՏԱՆՔՆԵՐԻ ԲԱԺՆԻ ՎԱՐԻՉ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԺԱՄԱՆԱԿԻ ԽՄԲԱԳՐԱԿԱՆ ԿԱԶՄԻ ՀԱՆԴԻՍԱՎՈՐ ԱՇԽԱՏԱԿԻՑՆԵՐԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԺԱՄԱՆԱԿԻ ԽՄԲԱԳՐԱԿԱՆ ԿԱԶՄԻ ՀԱՆԴԻՍԱՎՈՐ ԱՇԽԱՏԱԿԻՑՆԵՐԸ

1. Ասատրյան—Ազգային դպրոցների տեսուչ, Ազգային կրթական խորհրդի անդամ, Ազգային ժողովի պատգամավոր
2. Նաճարյան — Ազգային կրթական խորհրդի քարտուղար
3. Գալուստ Քյուրքչյան — Ազգային կրթական խորհրդի անդամ, Ազգային ժողովի պատգամավոր
4. Ղոնդաղճյան — Ազգային կրթական խորհրդի անդամ, Ազգային ժողովի պատգամավոր
5. Նորայր Արղության — Ազգային կրթական խորհրդի անդամ, Ազգային ժողովի պատգամավոր

Ազգային կրթական խորհրդի 1940 թ. հունվարի 13-ի նիստում ընտրվեցին Ազգային ժողովի պատգամավորներ Ասատրյանը, Նաճարյանը, Գալուստ Քյուրքչյանը, Ղոնդաղճյանը և Նորայր Արղությանը՝ Հայկական ԺԱՄԱՆԱԿԻ խմբագրական կազմի հանդիսավոր աշխատակիցներ։

Ազգային կրթական խորհրդի նախագահ՝ Ա. Հ. ՀԱՄԱՀԱՆ

ԱՐՏԱՍԱՀՄԱՆ ՀԱՄԱՐ ՊԱՏԱՍԽԱՆԱՏՈՒ ՀԱՅՏԱՐԱՐՈՒԹԻՒՆ

Ստորագրեալ Արտասահմանի Հայոց Ազգային Պատուիրակութեան Նախագահ՝ Ա. Ահարոնեան, Անդամներ՝ Ա. Ալպոյաճեան, Ա. Գարագաշեան, Ա. Գասպարեան, Ա. Գրիգորեան, Ա. Գրիգորեան, Ա. Գրիգոր